

## გრამატიკული და ლექსიკური ასპექტის თავისებურებისათვის იდიომურ გამოთქმებში

ასპექტობრივი წყვილების არსებობა გულისხმობს სრული თუ უსრული ასპექტით წარმოდგენილი ზმნის სემანტიკურ იდენტურობას, სხვანაირად, რომ ვთქვათ, ზმნის მნიშვნელობა ასპექტის ცვლის შედეგად არ უნდა იცვლებოდეს, მაგრამ იდიომურ გამოთქმებში აღნიშნული წესი ხშირად ირღვევა (შდრ.: *ჭურში/ტყემალზე ზის/იჯდა*, მაგრამ შეუძლებელია *\*ჭურში ჩაჯდა/ტყემალზე დაჯდა* და ა.შ.). ნათელი ხდება, რომ, მიუხედავად გრამატიკული ასპექტის განსხვავებული ფუნქციური ნიუანსისა სხვადასხვა ენაში, დერივაციული თვალსაზრისით, იგი, როგორც წესი, ამა თუ იმ აფიქსაციის შედეგია; თითო აფიქს კი თავისი სემანტიკური მნიშვნელობა ახასიათებს. ამიტომაც ჩნდება, ე.წ. ლექსიკური ასპექტის არსებობის შესაძლებლობა.

სტატიაში განხილულია გრამატიკული და ლექსიკური ასპექტის თავისებურება კროს-ლინგვისტურ ჭრილში ბ. კომრის [Comrie, B., 1976], რ. ჰოვავისა და ბ. ლევინის [Hovav, R., Levin, B., 1995, 1998] და ა. მარანცის [Marantz, A., 1997] მიერ შემოთავაზებული თეორიების ფარგლებში: ერთის მხრივ, ზმნური იდიომის სტრუქტურული და იდისინკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით, როგორცაა:

ა) მოქმედება: [ $xACT_{<MANNER>}$ ]

ბ) მდგომარეობა: [ $x < STATE >$ ]

გ) მოქმედების შედეგი: [ $BECOME[x < STATE >]$ ]

დ) მოქმედების დასრულება: [ $xCAUSE[BECOME[y < STATE >]]$ ]

ე) მოქმედების დასრულება: [ $[xACT_{<MANNER>}]CAUSE[BECOME[y < STATE >]]$ ]

ხოლო მეორე მხრივ, ქართული ზმნური იდიომის სინტაქსური კომპლექსურობის გათვალისწინებით დერივაციული მორფოლოგიის ჭრილში, რომლის მიხედვითაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზმნური იდიომის ასპექტობრივი სემანტიკა, კერძოდ, მსგავსება ზმნური იდიომის ასპექტობრივ სემანტიკასა და მის აღმნიშვნელ თავისუფალი ზმნის ასპექტობრივ სემანტიკას შორის.

## To the Peculiarities of Grammatical and Lexical Aspects in Idioms

The existence of aspect pairs assumes that the verbs represented by perfective and imperfective aspectual forms shall be identical from the semantic point of view, i.e. the meaning of verb will not change under the influence of aspectual forms. In the case of idioms, the above-mentioned rule is violated (cf. *ჭურჭი/ტყემალზე ზის/იჯდა*, but there don't exist the units like \**ჭურჭი ჩაჯდა/ტყემალზე დაჯდა*). It becomes clear that in spite of difference between the nuances in the formation of grammatical aspects in different languages, mainly, the formation of grammatical aspect is a result of affixation; every affix has its own semantic meaning. The existence of this meaning is considered as a basis for the existence of lexical aspect.

The paper describes the cross-linguistic peculiarities of grammatical and lexical aspects based on the theories of Comrie [Comrie, B., 1976], Hovav and Levin [Hovav, R., Levin, B., 1995, 1998] and Marantz [Marantz, A., 1997], on the one hand, taking into account structural and idiosyncratic peculiarities of idioms as the following:

a) Activity: [ $xACT_{<MANNER>}$ ]

b) State: [ $x < STATE >$ ]

გ) Achievement: [ $BECOME[x < STATE >]$ ]

დ) Accomplishment: [ $xCAUSE[BECOME[y < STATE >]]$ ]

ე) Accomplishment: [ $[xACT_{<MANNER>}]CAUSE[BECOME[y < STATE >]]$ ]

And, on the other hand, taking into account the syntactic complexity of Georgian verbal idiom from the viewpoint of derivational morphology, which presupposes that the special attention is paid to the aspectual semantics of idiom, especially, the similarities between the aspectual semantics of verbal idiom and the aspectual semantics of its denoting verb.